შპს „ავტო ელპიჯი ჯორჯიას“

ფინანსური ანგარიშგება

31.12.2024 წ დასრულებული წლისთვის

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგება ----------3

სრული შემოსავლის ანგარიშგება ----------4

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება ---------- 5

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ---------- 6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია ----------7
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასება და მსჯელობა ----------7
3. ფული და ფულადი ექვივალენტები ----------20
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ---------- 20
5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ---------- 20
6. ძირითადი საშუალებები ----------21
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები----------22
8. მოკლევადიანი ვალდებულებები---------- 22
9. ამონაგები----------22
10. სხვა ხარჯები ----------22
11. არასაოპერაციო შემოსავალი---------- 22
12. არასაოპერაციო ხარჯი ----------22
13. ფინანსური ხარჯები ---------- 22
14. ფინანსური რისკის მართვა ---------- 23
15. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა ---------- 24
16. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება ---------- 25
17. დაკავშირებული მხარეები ----------25
18. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები ---------- 26

ფინანსური ანგარიშგება 31.12.2024წ დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2024
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	1380761	1554456
არამატერიალური აქტივი	7	-	-
ჯამურად გრძელვადიან აქტივები		**1380761**	**1554456**
მარაგები	4	779982	873093
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	420662	182623
ჯამურად მოკლევადიანი აქტივები		**1200644**	**1055716**
სულ აქტივები		**2581405**	**2610172**
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1018442	2113547
სულ კაპიტალი		**1018442**	**2113547**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	1562963	496625
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**1562963**	**496625**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**2581405**	**2610172**

AUTO LPG GEORGIA LLC * 405161845 * LPG

დირექტორი

მთ.ბუღალტერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება 31.12.2024წ დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2024
ამონაგები	10	9616626	19985719
სულ ამონაგები		**9616626**	**19985719**
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:		**-8100171**	**-18080345**
შესყიდვების ხარჯები		-	-
საერთო მოგება		**1516455**	**1905374**
საოპერაციო ხარჯები	11	-1160692	-810269
ცვეთის ხარჯი		-25888	-
სულ საოპერაციო ხარჯები		**1186850**	**-810269**
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		**329605**	**1095105**
მოგება დაბეგვრამდე		**329605**	**1095105**
მოგების გადასახადი			-
წმინდა მოგება (ზარალი)		**329605**	**2113547**

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

1. კომპანია და მისი საქმიანობა

კომპანიის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის თხევადი გაზის მიწოდება , რეალიზაციას.

კომპანიის დამფუძნებლები:

01024012861ნიკოლოზ ხოფერია (საქართველო) 100%

კომპანიის მაკონტროლებელი პირია დირექტორი ნიკოლოზ ხოფერია

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკს მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძვლები.

მომზადების საფუძველი. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისი ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი.

2.2 ახალი სტანდარტების დანერგვა

ქვემოთ მოცემულია ახალი და შეცვლილი, სტანდარტები რომლებიც დანერგილი აქვს კომპანიას პირველად 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ პერიოდის ფინანსურ ანგარიშებაში ცვლილებები ბასს 12-ში მოგების გადასახადი

IASB-მა გამოუშვა დოკუმენტი „გადავადებული საგადასახო აქტივის აღიარება არარეალიზებული ზარალისათვის", რომლითაც მცირე მასშტაბის ცვლილებები შევიდა ბასს 12-ში, მოგების გადასახადი„. ამ განახლების მიზანია განსაზღვროს, თუ როგორ აღირიცხოს გადავადებული მოგების გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია სამართლიანი ღირებულებებით განსაზღვრულ სასესხო ინსტრუმენტებთან. ნაწილობრივ სადაც საბაზრო საპროცენტო განაკვეთის შემცირება იწვევს ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შემცირებას.

ცვლილებები აზუსტებენ შემდეგ ასპექტებს :

- არარეალიზებული ზარალი სასესხო ინსტრუმენტებზე, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია სამართლიანი ღირებულებით, ხოლო საგადასახადო მიზნებისთვის აისახება თვითღირებულებით, წარმოშობს გამოქვითვად დროებით სხვაობას, მიუხედავად იმისა ამ ინსტიტუტის მფლობელი მის გაყიდვას აპირებს თუ გამოყენებას:
- აქტივის საბალანსო ღირებულება არ გვზღუდავს სავარაუდო მოგების გადასახადის განსაზღვრაში.

- განსაზღვრული მომავალი დასაბეგრი მოგება არ შეიცავს იმ საგადასახადო გამოქვითვებს, რომლებიც წარმოქმნილია გამოსაქვითი დროებითი სხვაობების შებრუნებით.
- ჯგუფმა უნდა განსაზღვროს საგადასახადო კოდექსის შეზღუდვები დასაბეგრი მოგების იმ წყაროზე, რომლებსაც შეუძლიათ შეამცირონ გამოსაქვითი დროებითი სხვაობების შებრუნება. თუ საგადასახადო არ შემოიღებს ამგვარ შეზღუდვას, მაშინ ჯგუფს შეეძლება ეს დროებითი გამოქვითვადი სხვაობა შეაფასოს სხვა დროებით გამოსაქვით სხვაობებთან ერთად.

ცვლილებები ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან და მათი გამოყენება მოითხოვება რეტროსპექტრულად. ხელმძღვანელობა ამ ცვლილებებისგან არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე რადგან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებებისგან გამომდინარე, 2017 წლიდან ფინანსურ ანგარიშგებაში გადავადებული გადასახადის აღიარება აღარ მოხდება, რადგან აღარ იარსებებს ის ფაქტორები რაც გადავადებულ გადასახადებს წარმოშობდა.

ბასს (IAS) 7ინფორმაციის გახსნის ინიციატივა და ცვლილებები ბასს (IAS) 7- ში

ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება" - ცვლილებები შევიდა „ინფორმაციის გახსნის ინიციატივის„ ფარგლებში და საწარმოებს ავალდებულებს ისეთი ინფორმაციის წარმოდგენას, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს, შეაფასონ საფინანსო საქმიანობის შედეგად ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებები, ფულადი ნაკადებით განპირობებული ცვლილებებისა და არაფულადი ცვლილებების ჩათვლით. ცვლილებების თავდაპირველი განხორციელებისას, საწარმოებს არ მოეთხოვებათ წინა პერიოდთან შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა. ცვლილებები ძალაში შევიდას 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ცვლილებები ფასს 2- ში წილობრივი ინსტრუმენტით ანგარიშწორების კლასიფიკაცია და გაზომვა

ცვლილებები სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან. მათი მიზანია სტანდარტებში არესებული ზოგიერთი პრინციპისა და სააღრიცხვო მიდგომების განმარტება.

გაუმჯობესებათა 2014-2016 წლების ციკლი

აღნიშნული გაუმჯობესობა ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან :

- ფასს 1 - არსებული მოკლევადიანი შეღავათები ფასს 7, ბასს 19 და ფასს 10 -ის გარდამავალი მუხლებისთვის გაუქმებულია (არა - აქტუალობის გამო).
- ბასს 28 - განმარტებულია, რომ ერთობლივმა საწარმოებმა, ფონდებმა და მსგავსმა ორგანიზაციებმა მეკავშირეებსა და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციების სამართლიანი ღირებულებებით ასახვის არჩევანი უნდა განახორციელონ ინდივიდუალურად თითოეული ორგანიზაციისთვის თავდაპირველი აღიარებისას.

ქვემოთ მოცემულია ის სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომლებიც გამოწვეულია და ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ პერიოდზე და რომლებიც არ არის ადრე დანერგილი წინამდებარე კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წარმოებისას.

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები (ეფექტურია საანგარიშგებო პერიოდებისთვის რომლებიც იწყება 2018 წლლის 1 იანვარს)

საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოაქვეყნა თავისი ბოლო ცვლილება ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები (2014) თან დაკავშირებით, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 39 -ს - ფინანსური ინსტრუმენტები : აღიარება და შეფასება . ახალი სტანდარტი მნიშვნელოვან ცვლილებებს ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შემოსავლებზე და შემოაქვს ახალი განსაზღვრება „მოსალოდნელი ზარალი„ ფინანსური აქტივების გაუფასურებურთვის. ფასს 9 ასევე გვთავაზობს ახალ აღრიცხვას ჰეჯირებაზე.

ახალი სტანდარტი მოთხოვნების მიხედვით, გამოყენებული უნდა იყოს საანგარიშო წლის დასაწყისში ან 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ.

ფასს 16 იჯარა (ეფექტურია საანგარიშგებო პერიოდისთვის რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს)

ფასს 16 აწესრიგებს ახალ მოთხოვნებს იჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით. ფასს 16 მოითხოვს, იჯარა აღირიცხოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც აქტივი "გამოყენების უფლებით „ და იჯარის ვალდებულება.

ფასს 16 ასევე ცვლის იჯარის განმარტებას :

- აწესებს მოთხოვნებს, თუ როგორ აღვრიცხოთ აქტივი და ვალდებულება, ასევე რთული საკითხები როგორიცაა, არასაიჯარო ელემენტები , ცვლადი იჯარის გადასახადები და ოფციის პერიოდი:
- ითვალისწინებს გამონაკლისებს მოკლევადიან იჯარებზე და დაბალფასიანი აქტივების იჯარებზე :
- ცვლის აღრიცხვას რეალიზაციის და უკუიჯარის გარიგებაზე:
- ძირითადად ინარჩუნებს ბასს 17-ის მიდგომას:
- გვაცნობს ახსნა- განმარტებით შენიშვნების ახალ მოთხოვნებს

ფასს 16 ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან. სტანდარტის ამ ვადაზე ადრე გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში თუ გათვალისწინებული იქნება ფასს 15 - შემოსავალი მომხმარებლებთან კონტრაქტებიდან. ჯგუფის ხელმძღვანელმა ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს ამ ახალი სტანდატრის გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 15 შემოსავალი მომხმარებლებთან კონტრაქტიდან (ეფექტურია 2018წ 1 ინვრიდან)

ფასს 15 წარმოადგენს ახალ მოთხოვნას რეალიზაციის აღაირებასთან დაკავშირებით და იგი ანაცვლებს ბასს 18-ს - „ამონაგები“ ბასს 11-ს „სამშენებლო კონტრაქტები“ და სხვა რეალიზაციასთან დაკავშირებულ სტანდარტებს. ახალი სტანდარტი საუბრობს კონტროლთან დაკავშირებულ რეალიზაციის მოდელზე და იძლევა ისეთ დეტალებზე განმარტებებს, რაც სხვა ფასს - ებში არ იყო აქამდე დაფარული. მათ შორის როგორ აღირიცხოს ბუღალტრულად მრავალპროფილინი ვალდებულებები, ფასების ცვალებადობა, მომხმარებლების დაბრუნებული ეფლებები, მომწოდებლის გამოსყიდული ოფციები და სხვა კომპლექსური საკითხები. ფასს 15 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან.

ცვლილებები ბასს 40 - ში

ცვლილებები განმარტავენ, რომ საინვესტიციო ქონებაში აქტივის შეტანა ან გატანა შესაძლებელია მხოლოდ ამ აქტივის გამოყენების დადასტურებული ცვლილებების შემთხვევაში. გამოყენების ცვლილებას ადგილი აქვს, როდესაც აქტივი აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განმარტებას. ხელმძღვანელობის განზრახვა აქტივის გამოეყენებასთან დაკავშირებით არ არის სამარისი მტკიცებულება აქტივის კლასიფიკაციის მიზნებისთვის. ცვლილებები ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან და მათი დანერგვა, გარკვეული დაშვებებით, შესაძლებელია როგორც პერსპექტიულად ისე რეტროსპექტიულად.

ცვლილებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში

ცვლილებები ეხება აქტივების მიწოდებას ან შეტანის აღრიცხვას ინვესტორსა და მის მეკავშირეს ან ერთობლივ საწარმოს შორის. ცვლილება სპეციფიკურად განიხილავს ოპერაციის შედეგად მიღებული მოგება ზარალის აღრიცხვას. საბჭოს მიერ არ არის დადგენილი ცვლილების ეფექტურობის თარიღი თუმცა დაშვებულია ამ ცვლილებების ადრეული გამოყენება. ჯგუფის მენეჯმენტს ჯერ არ შეუფასებია ამ სტანდარტთან დკავშირებული ეფექტი რა გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

2.3 შემოსავლის აღიარება

გაყიდული მომსახურების აღიარება ხდება იმ სააღრიცხო პერიოდში, როდესაც გაწეული იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს და ფასდათმობის გარეშე.

2.4 წარდგენის ვალუტა

ჯგუფის თითოეული წევრის ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (ქართული ლარი)

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგები პერიოდში შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით აღარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი ან ხარჯი.

2.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია დაგროვილი ცვეთისა ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ისტორიული თვითღირებულებით და 2016 წლამდე შეძენილი აქტივების შემთხვევაში ჩათვლილი ღირებულებებით („დასაშვები საწყისი"). თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნია სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკ- ცალკე, როგორც ძირითად საშუალეაბთა ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში , აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულების სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე ჯგუფის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითად საშუალებების კომპონენეტბის ჩანაცვლებასთან და აღრიცხვულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპინენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად რომელიც, ჩამოწერილი იქნა. სხვა ხარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში , თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის, შეკეთება განახლება აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება

2.6 არამონეტარული აქტივის გაუფასურება

ის არამონეტარული აქტივები რომელთაც არ აქვთ განსაზღვრული ცხოვრების ხანგრძლივობა , და ასევე ის აქტივები რომლებიც არიან მზად გამოყენებისთვის არ ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, ისინი ექვემდებარებიან გაუფასურების ყოველწლიურ ტესტირებას. ეს აქტივები რომელიც ექვემდებარებიან ცვეთას და ამორტიზაციას ექვემდებარებიან გაუფასურებაზე ტესტირებას მაშინ როდესაც გარკვეული მოვლენა ან პირობის ცვლილება მიანიშნებს რომ შესაძლებელია მისი საბალანსო ღირებულება ვერ იქნეს ამოღებული. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ სხვაობის ოდენობით რაც არსებობს შეფასებულ ამოღებად თანხასა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის. ამოღებადი თანხა წარმოადგენს უდიდეს თანხას გაყიდვის თანხებით შემცირებულ აქტივის სამართლიან ღირებულებას და მისი გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ტესტირების მიზნით აქტივები ჯგუფდება უმცირესი ჯგუფის დონეზე, რომლის დონეზეც იდენტიფიცირდება განცალკევებული ფულადი ნაკადები. ყოველ საანგარიშგებო პერიოდზე გაუფასურებული არაფინანსური აქტივები გარდა გუდვილისა მიმოიხილება გაუფასირების შებრუნების გაუქმების მიზნით.

2.7 ფინანსური ინსტრუმენტები- შეფასების ძირითადი პრინციპები

ფინანსური ინსტრუმენტები აისახება რეალური ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით როგორც, ქვემოთ არის აღწერილი.

რეალური ღირებულება გახლავთ თანხა რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს, საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. რეალური ღირებულება არის მიმდინარე შეთავაზებული ფასი ფინანსური აქტივებისთვის და მოთხოვნილი ფასი ფინანსური ვალდებულებებისთვის რომლებიც კვოტირებულია აქტიურ ბაზარზე. ურთიერთგადამფარველი საბაზრო რისკების მქონე აქტივებისა და ვალდებულებებისათვის ჯგუფმა შეიძლება საშუალო საბაზრო ფასები გამოიყენოს ურთიერთ გადამფარავი რისკის პოზიციების რეალური ღირებულების დადგენისათვის და შეთავაზებული ფასი და მოთხოვნილი ფასი გამოიყენოს ღია პოზიციების შესაფერისად დაბალანსებისათვის. ფინანსური ინსტრუმენტი აქტიუს ბაზაარზე კოტირებულად განიხილება თუ კოტირებული ფასები იოლად და რეალურად მიღებადია ბირჟიდან ან სხვა დაწესებულებიდან და აღნიშნული ფასები ასახავს ფაქტიურ და რეგულარულ საბაზრო გარიგებებს საფონდო ბირჟაზე გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

შეფასების მეთოდები როგორიც არის კოტირებული ფულადი სახსრების ნაკადის მოდელები ან მოდელები გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით დადებული ბოლოდროინდელი გარიგებისა ან ინვესტიციის მიღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთათვისაც გარე საბაზრო ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. შეფასების მეთოდით შეიძლება მოითხოვებოდეს ისე დაშვებების გაკეთება რომლებიც არ არიან დამყარებულები დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ახსნა

განმარტებითი შენიშვნები თუ მსგავსი დაშვებების გონივრულად შესაძლებელი ალრტერნატივით შეცვლის შედეგად მიიღება მნიშვნელივნად გასხვავებული მოგება, შემოსავალი მთლიანი აქტივები ან მთლიანი ვალდებულებები.

გარიგების დახარჯები არის ნამეტი დანახარჯები, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის ან ფინასური ვალდებულების შესყიდვის ემისისა ან რეალიზაციის მთლიან დანახარჯებს. ნამეტი დანახარჯები რომლებიც არ წარმოიშობოდა თუ არ წარმოიშვებოდა გარიგება. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების მრჩეველების ბროკერების და დილერების ხელფასებსა და საკომისიოებს მარეგილებელი სააგენტობიდან და საფონდო ბირჟებიდან მოსაკრებლებს და სატრანსფერო ბაჟსა თუ სავალდებულო მოსაკრებელს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს პრემიებსა და ფასდათმობებს ფინანსურ დახანარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ მფლობელთა დანახარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდება თავდაპირველი აღიარებისას შემცირებული ძირითადი თანხის გადახდით მიმატებული დარიცხული პროცენტის თანხა და ფინანსური ინსტრუმენტების შემცირებული მიღებული გაუფასურებული ზარალის ჩამოწერით. დარიცხული პროცენტის თანხა მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და პრემიას ან ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტის დისკონტირებული ღირებულება. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯები როგორც დარიცხული კუპონის ისე ამორტიზირებული დისკონტის ან პრემიის ჩათვლით ცალკ-ცაკლე კი არ აისახება, არამედ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი ისე რომ მიღებული იქნეს პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). რომელიც ზუსტად ადისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსურ ისტრუმენტში მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში თუ შესაფერისია ფინანსური ინსტრუმენტის წინა საბალანსო ღირებულება. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ხდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების დისკონტირება პროცენტის გადაფასების შემდეგ თარიღამდე გარდა პრემიისა ან დისკონტისა, რომელიც ასახავს ინსტრუმენტში განსაზღვრული მცოცავი საპროცენტო განაკვეთის შეღავათის დიაპაზონს ან სხვა ცვლადებს, რომლებიც დამოკიდებული არ არის საბაზრო განაკვეთზე. მსგავსი პრემია ან დისკონტი ამორტიზდება ინსტრუმენტის მთელი მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში. ახლანდელ ღირებულებში გაანგარიშება მოიცავს მხარეების მიერ ყველა საკონტაქტო გადახდილად მიღებულ საზღაურს, რომელიც შეადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

2.8 ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

ბასს 39 სტანდარტის შესაბამისად ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ აქტივებად სესხებად და მოთხოვნებად დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარებისას და მოგვიანებით შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების გადატანა ქვემოთ მითითების შემთვევებში. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიაში გადიოდა.

2.9 ფინანსური ინსტურმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რელაური ღირებულებით პლიუს გარიგების დანახარჯებით. გარიგების ფასი არის თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება. თავდაპირველი აღიარების დროს მიღებული შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება თუ არსებობს განსხვავება რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რომლის დასაბუთებაც შესაძლებელია იმავე ინსტურმენტის სხვა დაკვირვებად საბაზრო გარიგებებით ან შეფასების ისეთი მეთოდით რომელიც მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას გულისხმობს .

ყველა ფინანსური აქტივის შესყიდვა და გაყიდვა, რომელთა მიწოდება მოითხოვება მარეგულირებელი წესებით ან ბაზარზე დამკვიდებული პრაქტიკით დადგენილ ვადებში აისახება გარიგების დადების თარიღით, რომელიც არის ის თარიღი როდესაც ჯგუფი ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას იღებს. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი ხდება ინსტრუმეტის საკონტრაქტო პირობების მონაწილე.

2.10 ამორტიზირებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურებული ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მისი მოხდენისთანავე ერთი ან უფრო მეტი მოვლენის შედეგად, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მოცემული ფინანსური აქტივიდან ან ფინანსური აქტივის ჯგუფებიდან, რომელთა საერთო შეფასებაც შესაძლებელია, მომავალი ფულადი სახსრების ნაკადების შეფასების ოდენობაზე ან პერიოდულობაზე. იმ შემთხვევაში თუ ჯგუფი დადგენს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ადგილი ქონდა ინდივიუალურად შეფასებული აქტივის გაუფასურებას მიუხედავად მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო გაუფასურებისა, კომპანია ამ აქტივს მიაკუთვნებს ანალოგიური

საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანასური აქტივების ჯგუფს და ერთობლივად შეაფასებს მათ გაუფასურებას. ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას ძირითადი ფაქტორები რომელსაც გაითვალისწინებს ჯგუფი არის ფინანსური აქტივის ვადაგადაცილის სტატუსი.

იმ შემთხვევაში თუ ამორტიზირებული ღირებულებით ასახული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები მოლაპარაკების შედეგად შეიცვალა ან სხვა მხრივ მოხდა მოდიფიცირება კონტრაქტის ხელმომწერ მეორე მხარეს ფინანსური სირთულეების გამო გაუფასურების შეფასება ხდება პირობების მოდიფიკაციამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით რათა აქტივის საბალანსო ღირებულება აყვანილი იქნეს მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიმდინარე დისკონტირებულ ღირებუოებამდე. იმ შემთხვევაში თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შეიძლება გაუფასურებული თანხის აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან (მაგალითად, როგორიცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გამუჯობესება), ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება ხდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მეშვეობით.

ამოუღებელი აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის ანარიცხებში მას შემდეგ როდესაც დასრულდება აქტივის ამოსაღებად ყველა საჭირო პროცედურის განხორციელება და განისაზღვრება ზარალის ოდენობა

2.11 სასაქონლო მატერიელაური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება ინდივიდუალური დანახარჯებისა და საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2.12 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების გაწევის და საქონლის მიწოდების შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ მათი ამოღებადობა ივარაუდება ერთ წლამდე ან ერთი წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიანი ან გრძელვადიან მოთხოვნების შესაბამისად.

2.13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მომსახურების ან საქონლის შესყიდვის შედეგად წარმოშობილი სავაჭრო ან სხვა დავალიანებები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთვევაში თუ მათი გადახდა ივარაუდება ერთი წლამდე ან ერთი წლის შემდგომ პერიოდში მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულების შესაბამისად.

2.14 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით ოპერაციის ხარჯებით ნამეტების საშუალებით. აღიარების შემდგომ ისინი წარდგენილია ამორტიზირებადი ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ნაკადებსა და დაფარვის ღირებულებს შორის აღიარდება სესხის მთელი პერიოდის განმავლობაში მოგება ზარალის პერიოდში.

2.15 იჯარა

საოპერაციო იჯარა განიხილება იჯარა, რომლის შემთხვევაშიც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიური სარგებლის გადაცემა არ ხდება მოიჯარეზე. საპირისპირო შემთხვევაში იჯარა განიხილება როგორც ფინანსური იჯარა. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადახდილი სახდელები აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით იჯარის მთელი პერიოდის მიხედვით. ფინანსური იჯარის შემთხვევაში აქტივების კაპიტალიზაცია ხდება მოიჯარესთან აქტივების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალურ საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებების უმცირესი თანხით

ფინანსური იჯარის შემთხვევაში ყოელი საიჯარო გადასახდელის გადანაწილება ხდება საიჯარო ვალდებულებასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯის დარიცხვა მოგება ზარალის ანგარიშგებაში ხდება იმდაგავრად რომ გამოყენებული იყოს მუდმივი განაკვეთის საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ბალანსთან მიმართებაში. იჯარის ფარგლებში მიღბული ძირითადი საშუალებების ცვეთის აღრიცხვა ხორციელდება საიჯარო ვადისა და აქტივის ცხოვრების ხანგრძლივობის შორის უმცირესი ვადის მიხედვით.

2.16 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივიალენტებში იგულისხება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და ამათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა ან

ვალდებულების დასაფარად გამოყენება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.17 მოგების გადასახადი

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახება მოქმედი კანონმდებლობის ან სანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომლის აღიარებაც ხდება მოცემული წლის მოგებასა და ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომელიც აღიარდება იმავე ან განსხვავებულ პერიოდში სხვა სრულ შემოსავალში ან უშუალოდ საკუთალ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათის გადასახდელი ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადისა ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები არ აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მომზადების ვალდებულების მეთოდის გამოყენებით მომავალ პეიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისა და აქტივების ვალდებულებების საგადასახადო ბაზას და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ ფინანსური აგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას და როდესაც ეს გარიგება მისი თავდაპირველი ასახვის დროს გავლენას არ ახდენს არც სასესხო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებთად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება ან გამოყენებული იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსახვითი დროებითი სხვაობისა და დრობით პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვეაში როდესაც მოსალოდნელია რომ მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითვების განსახორციელებლად.

ჯგუფის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს ჯგუფი იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა. თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. ჯგუფის შეფასება ეფუძნება მოქმედი ან

საანგარიშგები თარიღის დასრულებისას არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების საპროცენტო გადასხდელებისა და მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადების ვალდებულების აღიარება ეფუძნება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი : ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის პირველი იანვრიდან. გადასახადის გადამხდელის უმრავლესობას არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად გადავადებულ საგადასახადო აქტივებს და ვალდებულებებს 2016 წლის 31დეკემბრის მდომარეობით ჯგუფმა ანულირება გაუკეთა მის ყველა გადავადებულ მოგებას აქტივს და ვალდებულებას.

2.18 ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადებისა და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განვითარებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.19 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ ჯგუფის დაქირავებული მომუშავეები. ჯგუფს არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო ან ანალოგიური სარგებლის გადახდა

2.20 ურთიერთ გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთ გადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით ან მოხდეს ატივების რეალაიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად

2.21 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

ჯგუფი ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებსა და ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფუნანსური წლის განმავლობაში. შეაფასება და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება ჯგუფის ხემძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს. მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვება გონივრულად არის მიჩნეული არსებული პირობების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივების და ვალდებულებების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგავრი გადაწყვეტილებებია :

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა - რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა სხვა ფაქტორები როგორიცაა აქტივის ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითარებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას . კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩებილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობის და იმ შეფასებული პერიოდის გათავლისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება. კომპანიის მიერ გაითვალისიწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები : აქტივების მოსალოდნელი გამოყენება, მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებისა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე. საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

საეჭვო ვალების რეზერვი : კომპანიის მენეჯმენტი რეგულაუაალდ ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას. იმ შემთხვევაში როდესაც დებიტორს აქ ფინასური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არაა ხელსაყრელი. ამის მსგავსად მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას კომპანია ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს, რომელიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარინობის გაუარესებას, ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო პირობებს რომლებიც კორელაციასია ჯგუფის აქტივების გადახდილუნარუანობის სტატუსთნ. იმ შემთხვევაში როდესაც აქტივების ისტორიული საკრედიტო მახასიათებლები და გაუფასურების პირობები მსგავსია მიმდინარე აქტივებისა მაშინ შეფასებისას გამოიყენება ეს ისტორუიული მონაცემები. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ საეჭვო ვალების რეზერვში წარმოდგენილი მონაცემები წარმოადგენს დებიტორების გაუფასურების თანხის საუკეთესო შეფასებას.

შენიშვნა 3

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	12/31/2023	12/31/2024
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	32720	35685
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	373654	136522
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	14288	10416
ფული სხვა საბანკო ანგარიშზე	0	0
სულ	**420662**	**182623**

შენიშვნა 4

მარაგები

	12/31/2023	12/31/2024
ნედლეული და მასალები	779982	873093
დაუმთავრებელი წარმოება		0
სულ	**779982**	**873093**

შენიშვნა 4 - ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთი	მანქანა-დანადგარები	ინვენტარი	სატრ. საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა ამორტ. ძირითადი საშუალებებუ	
საწყისი ღირებულება							
ბალანსი 31/12/2023	**0**	261637	6339	1112785			1380761
დანამატები				176085			
ბალანსი 31/12/2024	0	259247	6339	1288870			1554456

შენიშვნა 5

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	12/31/2023	12/31/2024
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1562963	496625
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	-	-
სულ	**1562963**	**496625**

შენიშვნა 6 - შემოსავალი რეალიზაციიდან	12/31/2023	12/31/2024
შემოსავალი საწვავის რეალიზაციიდან	9616626	19985719
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	**9616626**	**19985719**

შენიშვნა 7

საოპერაციო ხარჯები	12/31/2023	12/31/2024
შრომის ანაზღაურება	-747825	-694025
საიჯარო ქირა	-29100	-33100
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	-384037	-83144
სულ ხარჯები	**-1160962**	**-810269**

16. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებლივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს, მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს, საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების ფუნქციონირების მიზნით. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგავრი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის პროდუქციის

კრედიტით მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით უმნიშვნელოა.

კომპანია მის მიერ აღიარებულ საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების ან კონტრაგენეტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკის მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ, ან უფრო მეტი სიხშირის გადასინჯვებს.

ხელმძღვანელობა განიხილავს სავაჭრო დებიტორული დავალიანების ხადაზმულობასა და წარსულში არებულ ნიშნებით.

საბაზრო რისკი. კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: ა) უცხოურ ვალუტაში. ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებაში და დ) სააქციო კაპიტალის პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცემულობის შეზღუდვას, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმაა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი მგრძნობიარობა ეფუძნება ფაქტორში მომხდარ ცვლილებას, ხოლო სხვა ფაქტორები უცვლელად განიხილება. ნაკლები ალბათობა არსებობს, რომ ამას ადგილი ექნება პრაქტიკაში და ზოგიერთ ფაქტორში ცვლილებები შესაძლოა დაკავშირებული იქნეს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთსა და უცხოურ სავალუტო განაკვეთებში მომხდარ ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკებთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად. კომპანია მიიჩნევს რომ ინვესტიციები საკუთარ კაპიტალსა და არაფულად აქტივებში არ წარმოშობს რაიმე მატერიალურ სავალუტო რისკს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანია ექვემდებარება იმ ცვლილების შედეგებს, რომელსაც ადგილი აქვს გავრცელებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში მისი ფინანსური მდგომარეობისა და ფულადი ნაკადების მიმართ. კომპანიის პროცენტიანი აქტივები მოიცავს ბანკის ვადიან დეპოზიტებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკი უმთავრესად განპირობებულია სესხით სარგებლობასთან. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული სესხების შედეგად კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რეალური ღირებულების რისკს.

კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო გააკვეთების რისკების სამართავად, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ ეს რისკი უმნიშვნელოა კომპანიის საქმიანობისათვის. თუმცა, ახალი სესხების გაცემის ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განაკვეთი სჯობია კომპანიისთვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით, თუ ცვლადი განაკვეთი.

ლიკვიდურობის რისკი . ლიკვიდურობის რისკი ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირი დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომოანიას ყოველდღე უკავშირდებიან კომპანიის არსებული ფულადი სახსრების რესურსების შესახებ. კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ისწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმთავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადების და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისგან.

17. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხევით

შეფასების მიზნით ბასს 39- ში , ფინანსური აქტივები : აღიარება და შეფასება, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: ა) სესხები და დებიტორული დავალიანება, ბ) გასაყიდად არებული ფინანსური აქტივები გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები დ) ფინანსური აქტივების რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით „FVTPL“ რეალური ღირებულებით მოცემულ ფინანსურ აქტივებს მოგების ან ზარალის კატეგორის მიხედვით გააჩნიათ ორი ქვეკატეგორია : ი) ამგვარად კლასიფიცირებული აქტივები მათი საწყისი აღირებისას და იი) ისინი რომელიც კლასიფიცირებულია როგორც ვაჭრობისათვის გამიზნული .

18. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს გარიგების მსურველ მხარეებს შორის, გარდა იძულებული გაყიდვისა, ან ლიკვიდაციისა და მისი საუკეთესო მტკიცეულებაა აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი.

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას როგორც წესი, იმ ფინანსურ აქტივებისა (საბანკო ანგარიშების მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლედვადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები) უახლოვდენა მათ სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზირებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელთაც ანალოგიური საკრედტრო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია . მიღებული სესხები და სხვა ფინანსური დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

ამორტიზირებული ღირებულებითი ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებიანი ინსტურმენტების შეფასებული ღირებულება ეფუძნება მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირების მეშვეობით. მიმდინარე საპროცენტო განაკვეთები აღებულია იმ ახალი ინსტრუმენტებისგან, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო როსკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკებზე. გაცემული სესხები და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებას

19. დაკავშირებული მხარეები

მხარეები ითვლება დაკავშირებულად თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე, ან მინიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

20. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

კომპანაის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.